ჩინეთის დიდი კედელი

იცი, რით არის ცნობილი ჩინეთის დიდი კედელი? წაიკითხე ტექსტი და იპოვე პასუხი ამ კითხვაზე.

ჩინეთის დიდი კედლის სიგრძე 8852 კმ-ია. ის იწყება ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. გაივლის ჩინეთის რამდენიმე მხარეს და მთავრდება დასავლეთ ნაწილში. ზოგ ადგილას მას მდინარეები და მთები ყოფს.

ფიქრობენ, რომ კედლის აგება 2500 წლის წინ დაიწყო. იმ დროს ერთმანეთს რამდენიმე სამეფო ებრძოდა. ამ კედლით სამეფოები თავიანთ საზღვრებს იცავდნენ.

კედელი დიდი ხნის განმავლობაში შენდებოდა. მისი უმეტესი ნაწილი 1368-1644 წლებში არის აშენებული. იგი ძველ კედელზე უფრო მაღალი და მაგარია. აგურისა და ქვის კედლის სისქე 4-იდან 9 მეტრამდეა. მასზე დგას კოშკები. კოშკებს შორის მანძილი 200 მეტრია. ასეთ კედელზე ქვეყნის დასაცავად, ალბათ, მილიონობით ჯარისკაცი იდგა.

ჩინეთის დიდი კედელი მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრებაა. მის სანახავად ყოველ წელს უამრავი ტურისტი ჩადის.

ტექსტი გადამუშავებულია ბაკურ სულაკაურის ,,მსოფლიოს საოცრებების“ მიხედვით.

შენი აზრით, ყველაზე მეტად რის გამო მიაჩნიათ ჩინეთის დიდი კედელი საოცრებად?

დონე: A გარდამავალი, **კომპონენტი:** ფაქტი და მოსაზრება

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რომელია ფაქტი?

ა) კედელზე, ალბათ, მილიონობით ჯარისკაცი იდგა.

ბ) ფიქრობენ, რომ ჩინეთის კედლის აგება 2500 წლის წინ დაიწყო.

გ) ჩინეთის კედელს ზოგან მდინარეები და მთები ყოფს.

2 რომელია მოსაზრება?

ა) ჩინეთის კედლის კოშკებს შორის მანძილი 200 მეტრია.

ბ) ჩინეთის კედლის სისქე ზოგან არის ცხრა მეტრი.

გ) ფიქრობენ, რომ კედლები საზღვრების დასაცავად ააშენეს.

3 ჩინეთის დიდ კედელს ბევრი ტურისტი ნახულობს, რადგან:

ა) იგი აგებულია აგურებითა და ქვებით.

ბ) იგი იწყება ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში.

გ) იგი მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრებაა.

4 ტექსტში *<u>არ ჩანს</u>*:

ა) რა დანიშნულება ჰქონდა ძველად ჩინეთის დიდ კედელს.

ბ) რატომ ამაყობენ ჩინეთის დიდი კედლით ჩინელები.

გ) როდის აღიარეს ჩინეთის დიდი კედელი საოცრებად.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობა.

კედლის **აგება** 2500 წლის წინ დაიწყო.

ა) აშენება. ბ) გამაგრება. გ) დაგეგმვა.

2 რას ნიშნავს სიტყვა „საოცრება“?

ა) საოცრება არის ის, რაც ყველას აკვირვებს.

ბ) საოცრება არის ის, რაც ყველას მოსწონს.

გ) საოცრება არის ის, რაც ყველას უნახავს.

3 სწორად შეარჩიე მარაგიდან წინადადებებში გამოტოვებული სიტყვები.

ჯარისკაცი	*ნაწილი*	*კოშკი*	*ძველი*

1. ჩინეთის კედლის ზოგი ნაწილი არის ძალიან ----------.
2. ჩინეთის კედელზე არის აშენებული ბევრი ----------.
3. ჩინეთის კედელზე ქვეყნის დასაცავად ბევრი ---------- იდგა.
4. კედლის უმეტესი ---------- 1368-1644 წლებში არის აშენებული.

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

სამეფოები თავიანთ ---------- იცავდნენ.

ა) საზღვრები. ბ) საზღვრებმა. გ) საზღვრებს.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

კედელი იწყება ქვეყნის აღმოსავლეთ ---------- . ***(ნაწილში, ნაწილზე)***

გრამატიკა

3 რომელია სწორი ფორმები?

1. ა) კედელის. ბ) კედლის.
2. ა) რამდენიმე საუკუნე. ბ) რამდენიმე საუკუნეები.

4 დაწერე სიტყვები მხოლობითი რიცხვის ფორმით.

ნიმუში: ქვეყნები – ქვეყანა.

1. წლები – ----------.
2. კოშკები – ----------.
3. მხარეები – ----------.
4. მდინარეები – ----------.

წერა

1 ტექსტში მოცემული ფაქტების მიხედვით შეავსე სქემა.

1. კედლის სიგრძე	8852 კილომეტრი.
2. კედლის სისქე	
4. კედლის აგების მიზანი	
5. კედლის აგების წლები	

2 დააკვირდი ჩინეთის დიდი კედლის სურათს, რომელიც ტექსტს ახლავს. აღწერე ჩინეთის დიდი კედლის ეს ნაწილი.

_____

_____

_____

_____

_____